



საერთო ურნალი

მუსავალი

(აბეჭდისა და კვარაში ერთხელ)

ურნალის ფასი წელიწადში 3 მან. || რედაქცია: კავკასიის სამეურ. საზოგადოება
თითო ნომერი ხელზე გასახყიდა 10 კაპ. || აღრესი: თიფლისი, ვარატინსკაია, № 5.

წელი 1909 კავკასიი

1909 წლის 14 მარტი — № 5.

მინისტრი

გ. სემიონოვი	კომისარია სოფელში	3
გ. ჯანაშვილი	ქართველები და მეურნება	4
შ. დედაბრიშვილი	შინაური შინაურების მოვლა-მოშენება	6
გ. ნახუცრიშვილი	ვამდის მტრები	9
გ. შელი	ბუნებრივი სასუქი ხეხილებისათვის	12
ე. კარბელაშვილი	როგორ ეძრდებან გლეხები გაჭირებას. — სანიმუშო წესდება წვრილ სასოფლო-სამეურნეო ამსახავობათა დამტკიცებული 1907 წელს 18 გიორგისთვეს. 14	
საყურადღებო ცნობები:	დვინო და დუდი არეას მაგივრად ჭარში. — სოფინჯი . 16 ჭიანჭველების წინააღმდეგ	16

ტფილისი

ელექტრო-მექანიკი წიგ. გამომც. ქართ. ამს—სა.
1909

სამეურნეო ქურნალი

გოსავალი

(იბეჭდება ორ კვირაში ერთხელ)

ქურნალში მონაწილეობას შეიძებენ: — ავტორის 3., ალბერტოვი ვ., ბერება-შვილი გ., გვერდწიოელი პ., გოგიავი ლ., გოგიაშვილი ფ., ღელაბრიშვილი შ., ერანოვი ს., გუა-ფშველა, იოსელიანი ე., კარბელაშვილი ე., კალ ნდაძე ნ., ლორთქიფნიძე პ., ლიონიძე ა., მაკარაშვილი ნ., მოსეშვილი ი., მრევლიშვილი გ., მეურნალი ნ., მურვანიშვილი მ., მჭედლიშვილი ვ., მამულაშვილი შ., მაღალაშვილი მ., ნანეიშვილი შ., ნახუცრის შვილი გ., ნიარიძე ს., ქვარანი ს., ელილაშვილი ზ., ღვთისვაროვი გ., ზაალიშვილი მ., ჯაფარიძე გ., ყავრიშვილი ნ., ჩოლოევშვილი ს., რზიგაშვილი თ., რცხილაძე ვ., ხუნდაძე ს., ფიშოვევი ს., საკოვი ა., ქარცივაძე მ.

რედაქცია მოქლის სხვებიდვანც თანამშრომლობის სურვილი გამოცხადებას.

თანამშრომელთა საზურადლებო.

უურნალის შემოსავლიდან გაისტუმრება ხარჯი სტამბისა და კანცელარიისა, დანარჩენი (თუ რამე დარჩა) წლის დამლევს დაურიგდებათ თანამშრომლებს პროპორციულად მათი ნაშრომისა.

დასაბუჭდად მიღებული წერილები შეიძლება რედაქციამ შეასწოროს და შეამოკლოს. წერილები და კორესპონდენციები, რომელნიც არ დაიბეჭდებიან, არც შეინახებიან დას-ბრუნებლად.

რედაქცია მზათ არის აღმოუჩინოს „მოსავლის“ მკითხველებს ყოველ გვარი შეუამავლობა სამეურნეო იარაღებისა და მაშინების და აგრედვე ყველა სამეურნეო ნაწარმოების შექმნასაცალებაში.

ქუთაისში ხელის მოწერა უურნალზე მიიღება წევნის მაღაზიაში „იმერეთი“

კონკრეტურა სოფელში

სოფელი გამდიდრების მაგივრად დღი-თი-დღე უფრო ღარიბდება. წვრილი მწარმოებელი უფრო და უფრო იჩიგ-რება.

ამ დაჩიგვრას ბევრი სხვადასხვა გა-რემოება უწყობს ხელს. ერთი ამ გა-რამოებათაგანი შუამავლობა არის.

ჩვენ ვიცით რომ ყველა პატარა მწარმოებელი თავის აღებ-მიცემაში დიდ ბაზარიან არის შეკავშირებული შუამავალთა აუარებელი რიცხვით.

ამ სწორეთ ეს უკიდურესი მდგომა-რება, რომელსაც განიცდის დღეს წვრილი წარმოება, ამ შუამავალთა და მათი ხელშემწყობი სახელმწიფოში ზო-გიერთა წესრიგის წყალობით არის გა-მოწვეული, მიუხედავათ იმისა ეს შუა-მავალნი ჩარჩები არიან, მევახშეები თუ სოვლაგარი ვაკრები.

სულ შეხეთული სოფელი ამ შუა-მავალთა ხელში ყურმოკრილ ყმად არის გადაქცეული. მხოლოდ მათვინ შრომობს და მრევწერლობს.

ამ პირობებში კლები კაცის ზრუნვა შემოსავლის გადიდებაზე ამაოა.

სწორეთ ამ შუამავალთა შემცირე-ბით და აღებ-მიცემობის წესიერ გზა-ზე დაყენებით შეიძლებდა სოფელი გა-სავალი ხარჯის ცოტათი მაინც შემ-ცირებას. ასაც მეტს გადაარჩენდა ამ ხარჯს, იმითი იმატებდა სოფლის შე-მოსავალიც. მაგრამ სამწუხაროთ ჩვენ სოფლებს ჯერ-ჯერობით არა აქვთ ამისათვის საკმარისი ცოდნა, ვერ ხე-დვენ გზას, რომელსაც უნდა დაადგ-ნენ და არც არავინ ამ გზის მაჩვენე-ბელი არც ეხლა ჰყავთ და არც შემ-დეგში ეყოლებათ, თუ სოფლისავე ინ-

ტელიგენცია—ნასწავლი მემაშულენი, ექიმი, მღვდელი, მასწავლებელი და სხვა არ აუხსნიან სოფელს, რომ ამ გა-კირებიდან გამოსაყვანი უტყუარი გზა ცალკ-ცალკე მცხოვრებელთა ძალ-ღო-ნის ერთათ შეერთებაა თითოეულ მათ-განის დასახმარებლად, რასაც მოკლეთ კონპერაციას უშოდებენ.

ეს საშუალება იმდენჯერ არის დასავ-ევროპაში ნაცალ-ყოფილი, რომ სიკეშმარიტე მისი, ვთექრობთ, დამტკიცებას ეხლა აღარ თხოულობს.

კონპერაციების დღეს რუსეთში და სხვაგანაც აუარებელი გამრავლება აშ-კარად ჰმოწმობს ამგვარ დაწყობათა დიად მნიშვნელობას.

მართალია, აღვილი არ არის ამ და-წყობათა განხორციელება—კონპერა-ციის დაფუძნება და კარგად წაყვანა, ხოლო ვინც ამას მოახერხებს კი, მას მრავალჯერ აუნაზღაურდება შრომა და ყველაგვარი დანახარჯი.

შესაძლებელი იქნება სოფლით კონ-პერაციის დარსება და გაძლიერება მხოლოდ მაშინ, როცა გავითვალის-წინებთ სოფლის ყველა მოთხოვნილე-ბების დაქმაყოფილებას და არ გამოუ-დგებით ევროპიულ კონპერაციების უცვლელად გადმორჩვას ჩვენში.

ჯერ-ჯერობით ჩვენ არ შეგვიძლიან არც საიმისო კრედიტი გიქონიოთ, არც იმოდენა ნასწავლი კაცები ვიყოლიოთ, რამდენიც ეს აღვილად შესაძლებელია ევროპაში. ამიტომ ჩვენში ერთმა კონ-პერაციამ უნდა სოფლის ყველა გაჭი-რებაზე იხრუნოს, უნდა იგი ზრუნავ-დეს სესხედაც, სასოფლო-სამეურნეო საჭიროებისათვის ყველაგვარ საქონ-



ლის პირიანად შეძენაზე, სოფლის ნაწილობის კარგ ფასში გასყიდვაზე, მაშინებისა და სხვადასხვა ძვირფას სამეურნეო იარაღების, რომელთაც თითოეული წევრი ამხანაგობისა ვერ შეიძენდა, გამოწერაზე და საამხანაგოთ მოხმარებაზე და სხვა.

იგივე კოოპერაცია უნდა ზედმოქმედობდეს კეთილად თთოეულ წევრის ყოფა-ცხოვრებაზე, რათა კოოპერაციის წევრები დღითი-დღე ემატებოდეს.

„კოოპერაცია გონიებით შეგნებული ზედმოქმედებაა სამეურნეო ვითარებათა სტიქიურ ბრძანების მსვლელობაზედო“ — ამბობს პროფესორი ანტიფეროვი. და მართლაც, ყველგან და მუდამ კოოპერაციების დაფუძნება და გაძლიერება ქმნილა იქ, სადაც შეგნებულ და გონიება განვითარებულ ნაწილს საზოგადოებისას, მის ინტელიგენციის, მიულია მონაწილეობა ამ საჭმეში.

გიორგი სემიონოვი

ქართველები და მეურნეობა

დასაბამითგანვე საქართველო სამეურნეო ქვეყანა იყო და არის ეხლაც. მას ბერძნები სხვა სახელით არ იხსენიებდნენ, თუ არ გიორგიად, რომელიც ჩვენებურად მიწის დამუშავებას ნიშნავს. უწინდელ გმირობის დროს ქართველს ერთს ხელში ბარი, თოხი და ნამგალი ეჭირა და მეორეში საომარი იარაღი. პატიოსანი მუშაობა მას აყვარებდა მამულს და მის დასაცავად ახოვნად და მედგრად იბრძოდა მოსეულ მტერთან. ამ აგრედ წოდებულ „შავბნელ“ დროს ქართველი ახერხებდა არა თუ დიდ-დიდ ციხე-სიმაგრეებსა და ტაძრების აგებას, არამედ სარწყავ არხების გაყვანასაც და მწიგნობრობის აყვავებასაც. დღესაც მოიპოვება ისეთ-ისეთი ძეგლი, რომლის აღსრულებას აწინდელი ხუროთმოძღვარი მილიონამდე ფულს შეახარჯავდა და იმავე ძველანდელ ნაშთის ხელოვნების სიკეთეს მაინც ვერ მიაღწევდა. ქართველ ერს, როგორც მიწის მუშაქს, სოფელში ცხოვრება უყვარდა. ქალაქის სივიწროეს იგი გაურბოდა, სოფლის სიხალვათე და სიფართვეე, სადა და თავისიუფალი ცხოვრება მუდამ იზიდავდა მას და იკავებდა სოფელში. თავის კარ-მიდამოსა

და ბალ-ვენახს შორის, თავის ნაფუძრებსა და ყანა-ველებში იგი თავისუფლებასაც ჰქოებდა და სამშობლოს კეთილდღეობისა და დიდებისთვისაც ზრუნავდა. ამიტომაც იყო, რომ ქართველს დიდ-დიდი ქალაქები არ ჰქონდა, არამედ კოხტა დაბები და სოფლები. სამეურნეო სკოლები, მართალია, არ ჰქონდათ ქართველებს, მაგრამ თვით მთელი საქართველო ერთ ამგვარს დიდს სასწავლებელს წარმოადგენდა. მაგავაპათა მრავალსაუკუნვანი სამეურნეო გამოცდილება შვილითი-შვილად გადიცემოდა და საერთო იყო მარადის. ეს განძი რომ მდარე არ იყო, დღესაც თვალსაჩინოა ყველასათვის, ვინც კი გარჯილა და შეუსწავლია ჩვენი მამაპაპური ცხოვრება.

კეკლუცად შემკული საქართველო მის მკვიდრთ უხვად აძლევდა კახურს, პურს, თაფლს, აბრეშუმს, ვარდის წყალს, თხილს, ნიგოზს, ენდროს, ყველს და მრავალ სხვა სახსარს ცხოვრებისას. არის თქმულება, რომ შაპაბაზის მთელს ლაშქარს ერთი კახელი ლავაშითა და თაფლით გაუმასპინძლდათ შვიდ დღეს. მეორე თქმულებით, ერთმა საციციანოს გლეხმა

ქართველები და მეურნეობა

მიწვია ერეკლე მეფე მისის დიდის ამალით, ოჯახიშვილურად გაუმასპინძლდა და გასტუმრებისას მეფე გაატარა რუმბებიდან შადრევნად მოშვებულ ღვინის ორლობებში. მეფე გაკვირვებული იყო ამგვარ სიუხვით და გლეხი კი ეველრებოდა ხელმწიფეს კვლავ უფრო მეტის ამალით მეწვიეო. ამავე ხანებში პანკისის ხეობას გლეხები ღორს რთვლიდნენ ათასობით. ამიტომაც იყო, რომ ფრანგი მოგზაური დელაპორტი საქართველოს სთვლიდა იმისთანა ქვეყანად, საცა ხალხი სხვა ხალხებთან შედარებით უტკბოლესად სცხოვრობდა. შრომის შვილებმა,—გამონაკლისი აქ რომ არ მოვიგონოთ, ერთმანეთის დაჩაგვრა არ იცოდნენ. გურიაში, მაგალითებრ, საქონელი ტყელრებში უპატრონოდ სძოვდა და ფიქრიდაც არავის მოსდიოდა მოეპარა, სხვის საკუთრებით ესარგებლნა. ყველა მუშაობდა და შრომობდა. გლეხობას, სამღვდელოებას, აზნაურობას, თავადობას ყველას თავისი საქმე ჰქონდა. გუთანთან ერთად მოქმედობდნენ ორმოცი ცისკოპოზის სკოლები და სასწავლებლები; ამას გარდა თითქმის ყოველს სოფელში სტატობდნენ ქალები, რომელნიც „საოსტატოში“ სოფლის ქალებსა და ბიჭებს ასწავლიდნენ. დიდი გვარის თავადიშვილებს ჰქონდათ ბიბლიოტექები, რომლითაც სარგებლობდნენ თითქმის ყველანი. შოთა რუსთაველის უკვდავი აზრები შესახებ მამულისა, ერთგულებისა და თავისუფლების მოყვარეობისა მოდებული იყო კეთილშობილის ოჯახშიაცა და მდაბრო კერის გარეშემოც. ერი მოქმედობდა, მოღვაწეობდა და მეფობდა რა ვართ დღეს?

დღეს არათუ „საწველ ფურად“, არა-

მედ საკურტნე სახედრად ვართ გადაქცეულნი. შეუერთდით-რა რუსეთს, დავიციწყეთ, რომ საქართველო სამეურნეო ქვეყანაა, ყველამ მივაფურთხეთ შავს შრომას, ყველამ მოვინდომეთ დიდკაცობა, ჩინებით მხრების დაშვენება, ორდენებით გულ-მკერდის შემკაბა, დავიწყეთ ხარჯვა-ფლანგვა, მიწები დავყიდეთ, მამა-პაპეული სახლკარი გავანიავეთ და იმის მაგიერ, რომ მეურნეობას ვუმარჯვოთ, ერთი-ორი სამეურნეო სასწავლებელი გავხსნათ ისეთი, რომ იქ კურს დასრულებული ინტელიგენტებშიაც ერთოს და ნასწავლი მეურნეც იყოს, რომ ძმური სოფლური ქაპანწყვეტა ვიტვირთოთ, ივლექით და ჩვენი შვილები კლასიკურ განათლებას დავაწავეთ! ქართველი წრე (მასსა) და კლასიკური განათლება! ვინ ამბობს. არც ეს არის ურიგო, მით უმეტეს, რომ სხვა გვარი სასწავლებლები უფრო ძნელი გასახორციებელნი არიან იქნება, მაგრამ—ჩემი არ გითხრა, გული რით შევიჯეროო, —როგორ გასაოცარი არ არის, რომ ყველას ესრეთი განათლება სწყურია! ალბად, თავიანთ კამეჩებს ლათინურად უნდათ ელაპარაკონ და ხარებს კი ბერძნულად ემასლათონ!! ახალსენაკი და პროგიმნაზია! თელავ-სიღნაღი და კლასიკური სწავლა! ბატონებო, გონის მოდით. ახალსენაკი ხომ კოლხებიდაშია, იქ, საცა იოეტის შალერევნებში სჩექფდა ტკბილი ღვინო და ნოყიერი რძე; თელავი და ქიზიყი ხომ ძველი კამბეჩოვანია, სამშობლო დაუშრეტელი ღვინისა, მოძრავ შინაურ პირუტყვისა! მაშ რაღას ეძებთ? პროგიმნაზიებით ხომ არა გსურთ გაამრავლოთ იმ უსაქმურ მოხეტიალეთა დასი, რომელიც აღავსებს ტფილისისა და ქუთაისის ბულვარებს,

ის დასი, რომელიც ივიწყებს სამშობლო ენას და რაღაც უცნაურ თრპირ და ორკოფ ენაზე მეტყველობს, არეულად, შერეულად! მე არ ვამბობ, რომ გიმნაზია-პროგიმნაზიებში ნურცერთ შეიძლოს ნუ მივსცემთო, მე ვამბობ იმას, რომ ჯერ ხნობით მაინც ვიკმართ არსებული კლასიკური სასწავლებლებით და ახლა სამეურნეო სკოლებით ვეცადნეთ მოვფინოთ ჩვენი სამშობლო, რომ ჩვენს შვილებს შევასწავლოთ მიწის საიდუმლოება, „დედა მიწა“ ისევ შევაცეროთ, რათა მისგან მოცემული ბარაქით გვიხაროთ და გავიხაროთ შთამომავლობა. განა რამდენ მიღიონს არ მისცემს ქართველობას გონიერად წარმოებული მეღვინეობა, მეფუტკრება, მებარეშუმებობა, ვარდის წყლის ხდა, თხილის მოშენება, ქართული ყველი და, თუ გინდ, გურული ლობით! თუ არ მეურნეობით და შეძენილის გონიერ მოხმარებით, ჩვენი გამობრუნება, ჩვენის ფიქრით, შეუძლებელია. ნუ დაივიწყებთ, რომ იაპონია ევროპას იმ იარაღითვე ებრძვის, რომელიც ამ ევროპისაგან შეუძნია:—მეტი ტეხნიკა და საქმე და კოტა ოცნება. რაა ბრალი, თუ არ ეს უვიცობა, რომ ჩვენი

მიწის მომქმედი სწორედ საცოდავ ყოფაშია. მიღითარ ტფილისიდან კორტონამდე და გული გიკვდება, რომ ხელავ რკინის გზის აქეთ-იქით ხრიოკებს. რახანია ეს გზა გადასჭრის საქართველოს შუაგულს — ქართლს და არსად სჩანს ახლად გაშენებული სოფელი, არსად აყვავებული დაბა-ქალაქი, არსად მოვლილ-მოკაზული ბალ-ვენახი; თუ სადმე თოთო-ოროლი ამგვარი რამ გამოჩნდა, ისიც უცხოელისად იგულისხმე. ქართველს არსად მცულავი არ გაუნძრევია. ჯერ ისევ გვძინავს, თუ, რასაკვირველია, ფხიზლობად იმას არ ჩავთლით, რომ რამდენიმე ათასი ახალგაზდა კლასიურ სწავლით დატვირთული, კანცელარიებში ჩინოვნიკებად გვისხედან, ამდენივე და ამგვარივე ცოდნის ბალ-ლობა, სკოლებიდან გამოლალილი, უსაქმრდ დაგვიხტიალობს. ცოდნა — მოხერხებამ და ფულმა წაილო, წალეკა ბორჩალო, სამცხე, კლარჯეთი, საინგოლო, აფხაზეთი, ახლა კახეთსა და ქართლშიაც ეშურება შეკრას. ღრმა ჩვენც გონს მოვიდეთ, ღრმა შევიგნოთ, რომ ცოდნას ცოდნითვე უნდა ბრძოლა და ხერხს ხერხითვე დახვედრა.

8. ჯანაშვილი

შინაური პირუტყვის მოვლა-მოშენება

წინასიცუვაობის მაგივრად.

უხსოვარ დროიდგანვე ქართველი ერი მიწის შემუშავებას მისდევდა. ამას მსოფლიო ისტორიაში შეტანილი საქართველოს სახელიც ამოწმებს. მსოფლიო ისტორიაში საქართველო იცის მხოლოდ „გეორგიის“ სახელ-წოდებით. ამავე სახელ-წოდებიდგან წარ-

მოსდგება რუსული „გრუზია“ და თათრული „გიურჯი.“

პირველად „გეორგიი“ ბერძნებმა უწოდეს და ეს სახელი მსოფლიო ისტორიაში დღემდის შეპრჩა. „გეორგიი“ კი ჰიმნავის მიწის მნიშვნელთა მხარეს. ბერძნები პირველად გაეცვნენ თუ არა საქართველოს, მაშინვე ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა საქართველოშ,

რომ „მიწის მხვნელთა მხარე (ქვეყანა“) უწოდეს. მაშასადამე პირ-აღმით მიწის ხვნას უნდა მიჰყოლოდა მაშინ საქართველო, რომ ბერძნებმა ამ სახელ-წოდებით მონათლეს. საბერძნეთის მწერლობა დაედო სარჩულად ევროპიულ მწერლობას, და ამისთვის მსოფლიო ისტორია ჩვენ, ქართველებს, გვიცნობს „გეორგიანელებად.“ იქნება ქართველებმა ოდესმე თავიანთი სახელ-წოდება აღადგინონ და ბერძნულ სახელ-წოდებასთან ერთად თავიანთი საკუთარი სახელიც შეიტანონ მსოფლიო ისტორიაში. ეს ჯერ მომავალ ქართველების ხვედრია. ჩვენ კი ჩვენ საგანს დაუბრუნდებით.

დღეს სხვა ქვეყნებში—სწავლა-ცოდნით აღჭურვილ ქვეყნებში—მიწის დამუშავებაში ელექტრონსა და ორთქლს ამუშავებენ. ჩვენში კი დღესაც ჩვენი გლეხი გაიძახის უკვდავ მგოსნის, რომელსაც ქართველმა „გეროსტრატება“ ტყვიით გაუგმირეს შუბლი, სიტყვებს: „ერთ ბედ ქვეშა ვართ, ლაბავ, მედა შენ...“ უფრო კი უკვდავი მგოსანი იმეორებს ქართველ ერის გულის სილრმეში გამონასკულ სიტყვებს.

მიწის მხვნელის მარჯვენა ხელი საქონელია. უიმისოდ საქართველოში მიწის მხვნელი უხსოვარ დროიდგანვე ვერ მოჰქნავდა მიწას. მარჯვენა ხელს კი ვინ არ გაუფრთხილდება, თუ არ ხელი (გიური)?

ჩვენი გლეხი*), ჩვენი ერი მჭიდროდ არის დაკავშირებული შინაურ საქონელთან. უმთავრესად ხართან და კამეჩთან. ხარი და კამეჩი დიდ თანამ-

დებობას ასრულებს ჩვენი ერის კეთილ-დღეობის შემატებაში. დღესაც ჩვენი გლეხი, თუ ვისიმე სიმდიდრის აღნიშვნა უნდა, ამბობს: „ერთი, ორი გუთნეული ხარი და კამეჩი ჰყავსო,“ ან „ორი... სამი... ოთხი... ურმის ხარი და კამეჩი ჰყავსო.“

ლრემი და გუთანი, აი ჩვენი გლეხის კეთილ-დღეობის იარაღი და ურემს და გუთანს კი უხარ-კამეჩიდ ვერ აამოძრავებს დღესაც. მაშ ას უნდა ვსოდეთ წინანდელ დროზე? უწინ საქართველოში ხვნა-თესვა, მიტან-მოტანა, ლეწვა, მისვლა-მოსვლა სულ ხარისა და კამეჩის საშუალებით ხდებოდა ისე, როგორც დღეს...

უხარ-კამეჩი გლეხი ითვლება ჩვენში ღარიბ-ღარტაკად. ის ხარ-კამეჩინთან მიღის მოჯამაგირედ იმ ოცნებით, ერთი უღელი ხარი მაინც შეიძინოს და გახდეს დამოუკიდებელი შეოჯახე. როგორ გვონიათ, თუ უსაქონლო ქართველი გლეხის ოცნება უღელი ხარია, რასაც დამოკიდებულ ოჯახის დამოუკიდებლად გარდაქმა შეუძლიან, რანირად მოუვლიდა ამ უღელ ხასე?!

უვლიდა ქართველი თავის მარჩენელს თავის თავზე უკეთესად. თითონ იკლებდა და იმას კი, თუ შესაძლებელი იყო, მშიერს არ ამყოფებდა. უვლიდა იმ ნაირად, როგორც იმისი ჭკუა სკრიდა. ამის შესახებ ჩვენ დაწვრილებით გვექნება ბაასი შემდეგში. ეხლა კი მოკლედ აღვნიშნავთ, თუ ქართველი მიწის დამშუავებელი თავის მრჩენელის რა ლირსებას ეძებდა.

უმთავრესად ძალას და ბუნების სუსნის წინააღმდეგობას. ამტანი და ძალოვანი (ონიერი) ხარი, კამეჩი ოცნე-

*) რასაკვირველია, ჩვენ აქ ვეულისხმობთ საქართველოს იმ აღგილების მცხოვრებთ, სადაც უმთავრესად ხვნა-თესვას მისდევთ.

ბა იყო და არის ჩვენი მშრომელი გლეხისა. რასაკვირველია, ჩვენი ერი საქონლის ამ თვისებას ხელს შეუწყობდა მოშენების დროსაც. კარგი ჯიშის საქონელს შეინახვდა, მოსაშენებლად გაუფრთხილდებოდა და ცუდისას კი ეცდებოდა თავიდგან მოშორებას. რო ჯიშს (ჩამომავლობას) დიდ ყურადღებას აქცევდა, ამას ანდაზად გადაქმნილი ერის აზრიც ამტკიცებს. „მამა ნახე, დედა ნახე, შვილი ისე გამონახეო“.

საქართველოს სხვა და სხვა კუთხებს სხვა და სხვა ჰავა და ნიადაგი აქვს. ამისთვის ქართველი ერი მეურნეობაში მრავალ მეურნეობის დარგს მისდევს. სწორედ ამ მეურნეობის დარგის მიხედვით შეიმუშავა ესა, თუ ის საქონელი.

ჩვენ განვიზრახეთ შეძლების და გვარად აღვნიშნოთ, თუ ქართველმა ერმა რა და რა ტიპის საქონელი შეიმუშავა. სამწუხაროდ, ჩვენ ხელთ ძალიან ცოტა მასალა გვაქვს, რადგანაც ეს მხოლოდ პირადი ჩვენი დაკვირვებაა.

საშუალება არ გვქონდა შემოგვარა მოელი საქართველო და პირად შეგვეგროვებინა ცველგან ამ საგნის შესახებ მასალა. შემთხვევითი და სხვათა შორისი ხასიათი ჰქონდა ჩვენი მასალის შეგროვებას. მასალა ჩვენ მიერ შეგროვილი უფრო ტფილისის გუცერნის ეკუთვნის. მეტი მასალა ჩვენ ხელთ არა გვაქვს. ამისთვის უმორჩილესის თხოვნით მივმართავთ ცველას, ვისაც კი ჩვენი ერის ნაშრომის აღნუსხვა არ ეთაკილება და სამარცხვინოდ არ მიაჩნია, მოგვაწოდონ თავიანთი დაკვირვება ამ საგნის შესახებ.

რომ გაუადვილდეს მკითხველს მასალის მოწოდება, აქ. აღვნიშნავთ მოკ-

ლედ, თუ რას უნდა მიაქციოს ყურადღება:

მასალის მომწვდელმა უპირველესად უნდა აღნიშნოს ა) რომელ კუთხის შესახებ იძლევა მასალას და იქმეურნეობის რომელ დარგს (ხვნა-თესვას, მეცხვარეობას, მეცვენახეობას, თუ ყველ-ერბოს კეთებას) მისდევს მცხოვრები. უმთავრესად რა შინაური საქონელი ჰყავთ და სხვათა შორის რა საქონელს, ან ფრინველს ინახავენ ..

ბ) რა გარდმოცემაა იქ ხალხში სხვადასხვა საქონელზე (ხარზე, ძროხაზე, კაშეჩზე, ლორზე, გირზე, ცხენზე, ცხვარზე, თხაზე, შინაურ ფრინველზე და ძალზე).

გ) რა ფერისა, სიმაღლისა, სიგრძისა და წონისა არიან. რა სახელებია იქ გავრცელებული.

დ) გარაუდით რამდენი ფუთის ზიდვა შეუძლიან იქაურ ულელ ხარს, კაშეჩს, ერთ ცხენს, ჯორს და ვირს. ამუშავებენ ძროხას და ფურ-კაშეჩს, თუ არა.

ე) საქონლის ბინები ზამთარსა და ზაფხულს. აღწერა დაწვრილებით ზამთრის ბინისა (ბოსელი, გომური). საით აქვთ მიქცეული კარები ზამთრის ბინებს (აღმოსავლეთით, დასავლეთით, სამხრეთით თუ ჩრდილოეთით). ფრინველებსაც აქვთ ზამთრის ბინა, თუ არა.

ვ) საქონლის გამოკვება (საჭმელი: ბზე, თივა, როში, ფუჩეჩი და სხვა).

ზ) რამდენს იწველის ძროხა დილა-სალამოთი, ცხვარი, თხა, ფური, კამეჩი.

კარგი იქნება, თუ მასალის მომწვევლი დააჩქარებს და დროით გამოგვიგზავნის უურნალ „მოსავლის“ რეაქციაში. ყოველ გამოგზავნილ მასალას პატრივის ცემით აღვნიშნავთ შრომაში. თუ ვინიცობაა ვერ ვისარგებლეთ ამ მასალით, მაშინ უკლებლივ, ერთად შეკუნილს საქართველოს საეტნოგრაფიო საზოგადოების გამგეო-

ბის გარდაცემთ. რასაკვირველია, თუ გამომგზავნელები მოისურვებენ.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მასალის მომავალ წლის პირველ იანვრამდის მოუცდით. მანამდის კი ჩეენ შემდეგ წერილებში მოკლედ გავაცნობთ მკითხველს, თუ სხვაგან როგორ უვლიან საქონელს და რა ჯიშის საქონელი შეიმუშავეს.

შ. დედაბრიოშვილი

ვ ა შ ლ ი ს

მ ტ რ ე ბ ი

ზამთრის მგრაგნელი ჭია (Зимняя пяденица). მგრაგნელი ჭიას დედალ პეპელას ძალიან მოკლე ფრთხები აქვს, ფრენა არ შეუძლიან და ცოცვით ადის მიწიღან ხეზედ, საღაც პატარა ტოტების ახლო, ანუ ზედ კვირტებზედ სდებს რამდენიმე კვერცხს. დედალი პეპელა მხოლოდ შემოდგომის გასულს ჩნდება, ამიტომ ზამთრის მგრაგნელს უწოდებენ. შემოდგომაზედ დადგბული კვერტებიღან გაზაფხულის დამდეგს იჩეკებიან მატლები, რომლებიც პირველადვე ყვავილის და ფოთლის კვირტებს უწყებენ ღრღნას. შემდეგ ეს მატლები ფოთლის შუაგულშიაც ძვრებიან და ხშირად ყვავილის ნასკესაც მიატანენ ხოლმე (ჭამის დროს კვირტებს ქსელში ხვევენ). ბოლოს ფოთლებზედაც გადადიან. როდესაც მატლები კარგათ მოიზრდებიან, ანებებენ ჭამას თავს და ხიდინ ჩადიან მიწაში. ასე რჩებიან მიწაში გაზაფხულამდის, გაზაფხულზედ კი ხელახლა ჩნდებიან დედალ მამალი პეპელები. მოზრდილ მატლს ხუთი წყვილი ფეხი აქვს, თითონ ბაცი მწვანე ფერისაა. პატარობისას უფრო ნაცრის ფერი აქვს. სიგრძით ნახევარ ვერშოკზედ ცოტათი პატარაა.

არის მეორე ჯურა ამავე მატლისა,

რომელიც თითქმის ორჯელ გრძელია პირველზედ (Пяденица обдирало); ამ უკანასკნელსაც ხუთი წყვილი ფეხი ასხია, მხოლოდ ფერით ბაცი მოყვითალოა. ამ ორივე ჯურა მატლებს კიდევ სხვა სახელსაც უწოდებენ, სახელდობრ: მიწის მზომელას. მართლაც, ცოცვის დროს ისე ამოძრავებენ თავიანთ სხეულს, რომ თითქოს მართლა თავიანთ გასავლელ გზასა ზომავდნენ. როდესაც ეს მატლი მიკოცავს ტოტზედ, წინა ფეხებით მაგრა ეჭიდება ერთ ადგილს, ვიდრე უკანა ფეხებს მიიტანს წინა ფეხებთან. აი სწორეთ ამ დროს იგი ირკალება, ანთავისუფლებს წინა ფეხებს და იშლება, ე. ი. სწორდება. ხელახლა ეჭიდება წინა ფეხებით და ასე განაგრძობს თავის მოგზაურობას. როგორც წინათა ვსთქვით, დედალი პეპელა უფრთხოა. მეორე ჯურა ჭიის პეპელასაც სრულებით არა აქვს ფრთხები. ამისათვის მათ მხოლოდ ცოცვით შეუძლიანთ ავიდნენ ხეზედ. ამ გარემოებით ისარგებლეს გამოცდილმა შებალეებმა და საბრძოლველი საშუალებაც შესაფერისი გამოუვინეს. ეს საშუალება არის წებო-წასმული ქალალდი, რომელზედაც უფრთო პეპელები ხეზედ ასვლის დროს ზედ ეკვ-



რეგისტრი და შეგიძლიანთ ხელით მოჰკრი-
ფოთ და დაპირისპირით. ეს ქაღალდები ასე
უნდა მოამზადოთ: ა-დეთ სქელი შაქრის
ქაღალდი ანუ კლიონი კის ნაჭერის სიგანით
თოთ ვერშოკიანი, და სიგრძით იმოდენა.
რომ ხეს შემოსწოდეს. მიწიდან არ შინ ნა-
ხევარზედ ზემოთ შემოარტყით ხეს ქამა-
რივით და ზევით და ქვევით კანაფით შე-
მოუჭრეთ. შემდეგ გარეშემო ამ ქა-
ღალდს შუაზედ წებო-მაგვარი სითხე
წაუსცით. ეს წებო ასე უნდა მოამზა-
დოთ: აიღეთ ორი გირვანქა სელის ზე-
თი, გირვანქა ნახევარი ფისი, ერთი
გირ. სკიპიდარი და ნახევარი გირ. **სა-
პონტი** (თვლების მაზი.) პირველით
უნდა მოიხარშოს ზეთი, მერე ცოტ-
ცოტა უმატოთ დანარჩენი ზევით მოხ-
სენებული ნივთიერებანი და თან კარ-
გად ურიოთ—ვიდრე არ გასქელდებო-
დეს. წებოწამული ქაღალდები ჩვენში
უნდა შემოეკრას დახლოებით გიორ-
გობისთვის დამდეგს. ამ წებო წასმულ
ქამრებს ხშირათ უნდა ნახდა. თუ ზედ
პეპელებია მიკრული, უნდა მოჰკრიფოთ
და დასწოთ. გარდა ამისა, დრო გამოშ-
ვებით წებოსაც უნდა გაახლება. ამ სა-
შუალების გარდა გაზაფხულზედ ორ-
ჯელ მინც შვეინფურტის საწამლავიც
უნდა ასხუროთ.

მახარობელი ანუ მუხის ჭია (Шел-
კოპრაქ ვლათოგუზკა). ამ ჭიის კვერც-
ხის მდებელი პეპელა, ჩვენში ხშირათ
მკათათვეში გაჩნდება ხოლმე. ფოთლის
ქვეითი პირზედ სდებს 300 კვერცხამ-
დის, რომლებიდანაც ორ-სამ კვირის
შემდეგ იჩეკებიან მატლები. ამავე ზაფ-
ხულში ეს მატლები არას ავნებენ ხეს,
რაღაც მძიმეთ იზრდებიან და ამი-
სათვის ცოტას სკამენ. მარიამობისთვის
გასულს ეს მატლები თავიანთი ქსე-

ლით იკეთებენ საზამთრო ბინას და
შიგ ატარებენ მთელ ზამთარს. გაზაფ-
ხულზედ კვირტების გაშლის უმაღ მა-
ტლებიც იღვიძებენ და უწყებენ ფო-
თლებს ჭამის. სკამენ მკათათვის გასვ-
ლამდის, მერე ანებებენ თავს და ფო-
თლებ შუა ქვევევიან პარკებში. ეს ჭია
ხშირათ მუხახედაც იცის, ამიტომ
მუხის ჭიასაც უწყებენ. ამ მატლე-
ბის წინააღმდეგ შვეინფურტის საწამ-
ლავი იხმარება.

ფხიჭი ანუ ზურგ-მწვანე ჭია (Брон-
зовка). ზურგ-მწვანე ჭიამ კალიასა-
ვით მხოლოთ მინდვრათ იცის გამრა-
ვლება და თუ ხილის ბალი ახლოა
მინდვრებზედ, უთუოდ ესტუმრება ახ-
ლად აყვავებულ ხეხილი. საყვარელი
საჭმელი ამ მწერისა ყვავილია. ზო-
გიერთა ალაგებში დიდი ზარალი
მოაქვს. მაგალითად, სამხრეთ რუსე-
თში, სადაც დიდი ვაკე მინდვრებია,
ძალიან იცის გამრავლება და თუ
ახლო-მახლო ხილის ბალები დაპირის
მთლად ანადგურებს. ჩვენშიაც არის
ეს ზურგ-მწვანე ჭია, მხოლოდ ძალიან
ცოტა. ამ მაზარალებელი მწერის წი-
ნააღმდეგ ჯერ ჯერობით არავითარი
ნამდვილი საშუალება არ არის გამო-
გონილი, თუმცა ზოგიერთა გამოც-
დილი მეურნენი გვირჩევენ შემდეგს:
უკეთუ ხილის ბალს გარშემო მინდვ-
რები არტყავს, საიდანაც საშიშია ჭიის
გადმოფრენა, უნდა ხილის ბალის მო-
შორებით მინდვრების მხარეს რომელი-
მე მაღალი ჯიშის მცენარეები დარ-
გას, რომ ამით ჭიის დაბრკოლება მიე-
ცეთ და ვეღარ შესძლო ისე ადვილად
ხილის ბალში გადაფრენა.

გარდა ამისა, კარგი იქნება ბალს ახ-
ლო დააჩინოთ ისეთი მცენარეები, რომ-

ლებიც ხეხილზედ ადრე აყვავდებიან ხოლმე. ამ შემთხვევაში ჭიები ამ მცენარეების ყვავილს მიეტანებიან და ამით ხეხილს ცოტათი მაინც მიეცება შეღავათი.

ფოთლის ტილი (Лиственная тля). ეს მწერი ხეხილის სანერგებს უფრო აზარალებს, რადგან ფოთლის ტილებს ნორჩი ყლორტები და ფოთლები უფრო უყვართ, რომელიც ასობით და ათასობით სცხოვრობენ. თავიანთი პატარა ხორთუმებით სწოვენ ნორჩი ყლორტებიდან და ფოთლებიდან წვენს, რომელიც ბოლოს იგრიხებიან და აღარც იზრდებიან. ფოთლის ტილებმა ავდრიან გაზაფხულზედ უფრო იციან გამრავლება. მათ დასახოცალ ნავთისა და საპნით შეზავებული სითხე იხმარება, რომელზედაც უურნალის პირველ ნომერში იყო მოხსენებული.

არის შეორე გვარი წამალიც, რომელიც ერთგვარი ცხელი ქვეყნის მცენარის ნახერხიდან მზადდება. ამ მცენარის ნახერხს აფთიაქის საწყობში იყიდით, სახელად კვახსია ჰქვიან.

აიღეთ ვ გირვანქა კვასსია, ჩაყარეთ ქვაბში და ზედ იმოდენი წყალი დასხელთ, რომ ნახერხი დაიმალოს. აღუღეთ $1\frac{1}{2}$ —2 საათამდის. როდესაც კარგათ მოდუღდება, ცალკე ჭურჭელში გადაიღოთ. შემდეგ ორ ბოთლ ცხელ წყალში ორი გირვანქა მშვანე საპნით გახსენით და ორივე დამზადებული სითხე ერთმანეთში აურიეთ. ხმარების წინ ეს მომზადებული წამალი რვა ვედრო წყალში უნდა გახსნათ და ასხუროთ ყლორტებს და ფოთლებს.

თეთრი ბურტყლიანი ტილი (Кровяная тля). ეს საშინელი მტერია ვაზლისა, განსაკუთრებით ფესვებსა და

ტოტებს უჩნდება და თავისი პატარა ხორთუმით სწოვს ხის წვენს, რის გამო ხეს კანი უსკდება და დაკორძებული იარა უჩნდება. რომელ ხეზედაც ბევრია ეს ტილი, შორიდანვე ეტყობა. ხესვის თითქოს თეთრი ბურტყლი შეუყრიათო. ხელი რომ გაუსვათ, ტილები აღვილად ისრისებიან და ხელიც წითლად შეგეღებებათ, რადგან გასრესის დროს ერთგვარი წვენი გამოსდით, რომელიც ნამდვილ სისხლს მიაგავს.

ბურტყლიანი ტილი ორ გვარია: უფრთო და ფრთიანი. პირველი მოყვითალო ფერისაა, მეორეს კი შვი ბჟკვრიალი ფერი აქვს. უფრთო ტილი გაზაფხულსა და ზაფხულში ჩნდება. მრავლდებიან უმამლოდ. დედალი ტილი ჰყარის ცოცხალ ტილებს 30—50-დის.

ფრთანი ტილი ჩნდება ზაფხულის გასულს. ესენიც უმამლოთ მრავლდებიან. არც ხორთუმი აქვთ და ორც ფრთები.

ტილის დასახოცათ, თუ ფესვებზედ არიან გაჩენილი, ხეებს ძირები უნდა გამოუჩინოთ და ზედ თხლად კირი წაყაროთ. გაზაფხულზედ ხელახლა უნდა მოაშოროთ კირი და მის მაგიერ კარგი მიწა მოაყაროთ.

თუ ტილი ტოტებსა და ხის ტანზედ იმყოფება, მაშინ სხვა საშუალება უნდა იხმაროთ. პირველადვე საჭიროა ჯერ გაასუფთაოთ და გაფხიკოთ დაკორძებული ხის იარები და ზედ წაუსვათ ნავთი და საჭმელი ზეთი ერთად არეული. (ერთი წილი ნავთი და ერთი წილი ზეთი). გარდა ამისა ხმარობენ წმინდა კარბოლინეუმს, რომელიც აფთიაქის საწყობებში იყიდება. ამ წამალ-

საც უსმენ ავათმყოფ ადგილებზედ. შე-
იძლება კარბოლინეუმი ვ ნაწილ წყალ-
ში-გახსნილ კირში აურიოთ და ისე
წაუსოთ ხეს. ანუ ხელით კარგათ გა-

სრისეთ, შემდეგ გაასუფთავეთ და ზედ
გამღნარი ქონი წაუსვით. სულ ერთია,
ქონი რისაც უნდა იყოს.

გ. ნახუცრიშვილი

გუნებრივი სასუქი ხელისათვის

(გაგრძელება)

უკვე დარგულსა და გაზღილ ხეხილს
ნეხვი გარემო უნდა შემოყენოს ისე,
რომ ზედ ძირზე კი არა ძირის მოშო-
რებით ასე ერთი არშინიდან არშინ
ნახევრამდე იყოს ირგვლივ. ხის ძირზე
მიყრას სასუქისას აზრი არა აქვს. მცე-
ნარის ფესვები, რომელთაც უნდა ისარ-
გებლონ ამ სასუქით, ხის ძირიდამ ცო-
ტა შორს არიან აქეთ-იქით წასულნი.
მასთან ვაშლს, მაგალითად, უფრო გა-
ნზე აქვს ფესვები გასული, ვიდრე
მსხალს, რომელსაც უფრო ღრმად მის-
დიან ფესვები ნიადაგში.

ხეხილის გარემო დაყრილ ნეხვს,
როგორც ზევითა ვსთქვით *), მიწა უნდა
წაეყაროს ზემოდამ, თორემ ნეხვი მაღა-
გამოშრება, გამოიფიტება და ძვირფას
აზოტს დაპკარგავს ტყუილად.

თითო ხეს, თუ ხე ახალგაზღდაა, ვ — 10
ფუთამდე ნეხვი უნდა მოეყაროს საშუ-
ალოდ. თუ დიდი ხეა — 25 ფუთამდეც.
როცა ნიადაგი შავი მსუქანი მიწაა,
ნეხვის მოყრა საჭირო არ არის, ავნებს
კიდევაც, რადგან ხე ტანის აყრას იმა-
ტებს და ნაყოფს-კი ნაკლებათ დაის-
ხამს.

დაბერებულ, დაუძლურებულ ხეე-
ბისათვის სრულიად გამომწვარს ან შე-
ზავებულ სასუქს (კომპოსტი) ხმარო-
ბენ. ესეთი სასუქი მაღა მოიტანს კარგ
შედეგს, თუ სასუქის მოყრაში ასე მო-

ვიქეცით: ხის ფესვების განზე ერთი
არშინის მოშორებით ხის ირგვლივ ან
და, თუ ხეები ფესვებით გადაბმულნი
არიან, მათ გვერდზე უნდა არხი გაი-
კრას სიგანით 1 არშ., სიღრმით 1 — 1 $\frac{1}{2}$
არშ. და არხი სასუქით (მიწა-ნარევ
ნეხვით) ამოივსოს.

რაოდენიმე ხის შემდეგ ხის ნორ-
ჩი ფესვები წარმოიზდებიან, მიაღწე-
ვენ სასუქს და შეთვისებას დაუწყობენ.
ხესაც მაღა შეეტყობა: გამოიტანს ახალ
ტოტებს და საზოგადოდ გამოკეთდება.

ღრო, როდის უნდა დაეყაროს ნე-
ვხი, იმაზეა დამოუკიდებული თუ რა
გვსურს: ტანი გვინდა ავაყრეინოთ ხე-
ხილებს მეტად, სხმოიარობა უნდა გა-
უძლიეროთ, თუ ნაყოფი უნდა დავამ-
სხვილებინოთ. არ შეიძლება სახეში არ
ვიქონიოთ ისიც, მუშა იაფია თუ ძვი-
რი, ადვილი საშოვარია თუ მუშის უშო-
ვრობაა, როგორი ამინდია და სხვა.

როცა, მაგალითად, გვინდა ხეხილს
მეტი ნაყოფი გამოვატანოთ, სასუქი
უნდა პირველ ზაფხულს დავაყაროთ.

თუ ტანი გვინდა ავაყრეინოთ ხეებს,
სასუქი უნდა სანამ მოთხება და მცე-
ნარეში წვენი დაიძვრება, სანამ დავა-
ყაროთ.

თუ ნაყოფი გვინდა დამსხვილდეს,
სასუქი უნდა დაყვავილების შემდეგ და-
ეყაროს.

შემოდგომაზე ან ზამთარში შეიძ-
ლება ახალი ნეხვი დაეყაროს ხეხილს,

*) იხილე უზრნალის № 4.

რომ დაიშალოს. გაზაფხულზე კი ორი-
ვე ნაირი ნეხვი, ძველიც და ახალიც,
შეგვიძლიან დავაყაროთ.

სადაც მშრალი ჰავა არის, იქ ნეხვს
უნდა 2—4 ვერშოკზე მიწა წაეყაროს
ზემოდამ, რომ არ გამოიფიტოს და მას-
თან ნიაღაგსაც სინესტე შეენახოს.
რომ არ დაგვიანდეს სასუქის მოყრა,
უკეთესია ნეხვი ზამთარშივე გავიტა-
ნოთ ბალში, ავაგროვოთ გროვა-გრო-
ვა და გაზაფხულზე ეს გროვები გა-
დავშალოთ.

აპრილის ნახევრიდამ სასუქად რომ
ნეხვის მაგივრად ნეშომპალი და ბნე-
ლი ოქრო ვიხმაროთ სჯობია

როცა ბალში ხშირი ბალახია, ნეხ-
ვის წვენს უწინ ბალახის ფესვები შე-
ითვისებენ ხოლმე.

ნეშომპალი და ბნელი ოქრო კი
დასხმისათანავე ღრმად ჩაღიან ნიაღაგ-
ში, ჩასცდებიან ბალახის მოკლე ფეს-
ვებს და ეთვისებიან ხეხილს.

ზაფხული რომ განახევრდება, ხელო-
ვნური სასუქის ხმარება შეიძლება.

დასასრულს კიდევ გავიმეორებთ,
რომ ახალი ნეხვის ხმარება სასუქად
საშიშო არ არის, ოღონდ ნეხვი მიწა-
ნარევი იყოს და არა სუფთა და არც
ღრმათ იყოს ნიაღაგში ჩაყრილი.

ვისაც ფრინველი ბლომად ყავს, ფრინ-
ველის სკლინტი შეუძლიან იხმაროს
სასუქად ხეხილებისათვის. ფრინველის
განავალი მდიდარია აზოტით და ფოს-
ფორის სიმჟავით, ორგანიული ნივთიე-
რებანიც სკლინტში ხუთჯერ მეტია,
ვიდრე ძროხის ნეხვში.

ნიმუშად მოგვყავს ერთი გამოკვლე-
ვათაგანი, რომელიც გვიჩვენებს, რო-
მელ ფრინვლის სკლინტში რომელი

ნივთიერება რამდენია, როგორც შე-
მაღვენელი ნაწილი:

	მდგრადი	მდგრადი	მდგრადი	მდგრადი	მდგრადი
ორგ. ნივთიერება	81,5	74,3	85,0	74,9	
აზოტი	6,2	5,5	1,6	3,2	
ფოსფორის სიმ- უდინებელი	7,7	14,5	7,4	5,2*	

სკლინტს, როცა სასუქად უნდათ
იხმარონ, ჯერ დაალბობენ: თითო
გირვანქა სკლინტს 5 ვედრა წყალს
დაასხამენ და დასტოვებენ ამ წყალში
7—8 დღე, სანამ დაიდუღებს. მერე
დაუსხამენ ხეხილის ფესვებს (თითო ხეს
3—10 ვედრამდე).

რადგან ამ სასუქს აკლია ნივთიერება
კალი, კუტა ნაცარს მოუმატებენ.

როდესაც უნდათ რომ მშრალი სკლი-
ნტი იხმარონ სასუქად, სკლინტს ხუ-
თიდამ ხუთმეტ ფუთამდე ჩაყრიან ნია-
დაგში თითო ხესთვის ისე, როგორც
ზემოთ ნეხვის შესახებ ვსოდეთ.

მეტი წილი აზოტი და ფოსფორის
სიმჟავე, რომელნიც სკლინტში არიან,
როგორც მის შემაღვენელი ნივთიე-
რებანი, პირველ წელიწადშივე ეთვი-
სებიან მცენარეს.

ეგრედწოდებული გუანო ზღვის ფრი-
ნელების სკლინტს წარმოადგენს გა-
მოცვლილს ღროთა განმავლობაში.

გუანოს შემაღვენელ ნივთიერებათა
შორის აზოტი არის საშუალოდ 7%,
ფოსფორის სიმჟავე—14% და კალი—
2%.

მებალები გუანოს სასუქად ხშირად
არა ხმარობენ, იმიტომ რომ ძვირათა
ფასობს და არც ისეთი შედგენილობა
აქვს ხოლმე ნამდვილად, როგორსაც
გამყიდავები აცხადებენ ჩვეულებრივ.

3. შ—ელი

*) სხვა გამოკვლევებიდან სხვანარი შედგე-
ნილობა არის მიღებული სკლინტისა.

როგორ ებრძვიან გლეხები გაჭირებას

სოფელი განიცდის უკიდურესს გაჭირებას. უჭირს მით, რომ ვერ გაუსაღებია პირიან ფასში ის მცირედი მოსავალიც კი, რომელსაც მას მაპაპური მეურნეობის წესი აძლევს. ამისთანა გარემოებაში მეურნეობის წარმატებაზე ზრუნვა ძნელია. საჭიროა უპირველესად ყოვლისა მოწყოს სოფელში ისეთი რამ დაწყობილობა, რომ შესაძლოს გახდეს ვაჭარ-ჩარჩების განდევნა სოფლიდან და გლეხის მეურნეობის გამოკეთება. დასავლეთ ეკროპაში დიდი ხანია რაც იქაური გლეხობის შეთანხმებულმა და დაულალებმა შრომაშ თავიდან აიცილა უმეტეს წილად გმვარი ვაჭრები. ჩვენში ეს საქმე ჯერ დაწყობილიც არ არის. ამიტომა მივიჩნიეთ საჭიროდ ქვემოთ წესდების გადმოთარება და დაბეჭვდა.

რუსეთის მთავრობა იძულებული იყო გაეწია ანგარიში გლეხობის გაჭირებისათვის და გამოსცა სანიმუშო წესდებანი სხვადასხვა საგლეხო დაწყობილობათა: საკრედიტო, შემნახველ გამსესხებელი და სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობათა. როდესაც ამ სანიმუშო წესდების თანახმად არსდება რომელიმე ამხანაგობა მის ჩებადართვა დამოკიდებულია აღილობრივ მართველობაზე.

სხვათა შორის 1898 წელს მთავრობამ დაამტკიცა სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებათა სანიმუშო წესდება, მაგრამ ეს წესდება ვერ გამოადგა სოფელს და ათი წლის შემდეგ მთავრობამ დაამტკიცა ახალი სანიმუშო წესდება წვრილ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებათა. ეს მეორე წესდება უზღლოვდება უფრო გერმანულ სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობათ, რა-

მელიც შეიძლება მალამოდ დაედოს იმ სოფელს, სადაც იმოქმედებს. გარდა იმისა, რომ იმ გზით შეიძლება მოწესრიგდეს იმ ნაწარმოებების სყიდვა-გაყიდვა, რომელსაც თვით სოფელი აკეთებს ან თავის საჭიროებათა დასაკაყოფილებლად გარეშედან იძენს, ამ ამხანაგობათ შეუძლიანათ წარმატების გზაზე დააყენონ თითოეული ამხანაგის შეურნეობაც მეურნეობის გული და დამატების მოწვევით.

დიდი სარგებლობა მოუტანეს ამ ამხანაგობებმა დასავლეთ ეკროპის გლეხებს. იმედია ჩვენშიაც ისარგებლებენ ამ წესდებით.

საერთაშორისო სასოფლო სამსახური ამხანაგობას დამზადებული 1908 წლის 18 გიორგიმოსოცემს

§ 1 ... 1) ... ამხანაგობას ... 1) ... გუბერნიისა ... 1) ... მაზრისას აზრადა აქვს ხელი შეუწყოს თავის წევრთ: 1) სოფლის მეურნეობაში საჭირო საგნების შესაძენა და აგრეთვე სოფლის მეურნეობის ნაწარმოების გასასყიდად და ამ ნაწარმოების ტეხნიკურად და სამუშავებლად საერთო ხარჯით გ-მართულ დაწესებულებებში, და 2) ამხანაგობის წევრთა მეურნეობის გაუმჯობესობა ურთიერთ მოსაზრებით და განძრაულ წარმატების განხორცილება შესაფერ საშუალებით.

§ 2. გადასახადების და ყოველგვარ ხარჯის გაღება, უძრავ ქონების შექმნა, დაარსება და წარმოება სავაჭროებისა და დაწესებულებებისა სოფლის მეურნეობის ნაწარმოებთა დასამუშავებლად, გამოფენების, სამკითხველოების, სასოფლო-სამეურნეო კითხვა-საუბრების გამართვა, წიგნების და წიგნაკების ბეჭდვა და სხვა ამგვარი საქმეები, ამხანაგობამ უნდა მოაწყოს.

1) აქ უნდა ჩაიწეროს სახელწილება ამხანაგობისა, მაზრისა და გუბერნიისა, რომელშიაც ამხანაგობა არსდება.

როგორ ებრძვიან გლეხები გაჭირებას

ისე, როგორც ამას შესაფერი წესები და კანონები მოითხოვენ.

შენიშვნა პირველი. ამხანაგობას შეუძლია უძრავ ქონების საკუთრებად შეძენა ან ვადით მფლობელობა და სარგებლობა ნავთსადგურებისა და ქალაქებს გარეთ იმ გუტერნიებში, რომელიც ჩამოთვლილია 1899 წლის გამოცემულ კანონთა კრებულის მე-IX ტაბის მე-830 წუბლის (შენიშვნა 2) დამატების პირველ მუხლში, მხოლოდ იმ პირობით, თუ გამგეობის წევრთა და მათ კანდიატთა უმეტესობა, როგორც სურათდ, ისე თვითეულ სხდომის დროს, აგრეთვე ამხანაგობის უძრავ ქონების გამგენი და მმართველნი რუსთის ქვეშევრდომინა არიან.

შენიშვნა მეორე. ადგილ-მამულის შექენა დასავლეთ მხრის ცხრა გუტერნიაში ქალაქ დაბების გარეთ ამხანაგობას შეუძლიან მხოლოდ მაშინ, თუ ყოველ ამგვარ შემთხვევისათვის ადგილობრივ ჯერალ-გუტერნატორის ან გუტერნატორის ნებაზოვას მიაღებს.

§ 3. ამხანაგობას აქვს ბუჭელი თავის სახელმძღვანი წარწერით.

§ 4. ამხანაგობა მოვალეა ყოველწლივ წარმუდინოს მიწათ მოქმედების და მიწით მოწყობის მთავარ სამართველოს სასოფლო საკუონდომიო და სასოფლო-სამეურნეო სტატისტიკის განყოფილებას საზოგადო კრების მექრ დამტკიცებული ანგარიში ამხანაგობის მოქმედების შესახებ. ამის გარდა ამხან. გობამ თავის მოქმედების ანგარიში უნდა წარუდგინოს იმ დაწესებულებებს, რომელთ-განაც იგი ქონებრივ დამატებას იღებს, და ადგილობრივ გუტერნატორს, ხოლო, როცა ამხანაგობის საჭარმოო თანხა ათი ათას მანეთამდე ავა, მაშინ ამხანაგობა მოვალეა თავისი ბალანსი დაბეჭდოს! „ВКСТНИКЕ ФИНАНСОВЪ, ПРОМЫШЛЕННОСТИ И ТОРГОВЛИ“-ში.

§ 5. ამხანაგობა მოქმედებას იწყებს მაშინ, როცა წევრად ჩაეწერება არა ნაკლებ თორმეტ კაცისა. ამხანაგობის მოქმედების დაწესების შესახებ განცხადება უნდა დაიბეჭდოს ადგილობრივ საგუტერნიო უწყებებში. ამხანაგობა, რომელიც მოქმედებას არ დაიწყებს ერთის წლის განმავლობაში დღიდან იმის წესდების დამტკიცებისა, ვაუქმებულად ჩაითვლება. თუ დაარსების შემდეგ ამხანაგობის წევრთა რიც-

ხვი თორმეტ კაცზე ნაკლები გახდა, ამანაგობამ უნდა მოსპოს მოქმედება.

§ 6. ამხანაგობას, თავის წარმომადგენელთა საშუალებით, შეუძლიან ჩაეწეროს სასოფლო. სამეურნეო საზოგადოებათა ან უფრო დიდ სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობათა წევრად.

§ 7. ამხანაგობის წევრებად ჩიილებიან კენჭის ყრით ორივე სქესის მიწათმფლობელი, გლეხი, მოიჯარადორენი და მამულების გამგენი, რომელნიც-კი მისდევენ სოფლის მეურნეობას. . . . გუბერნიის . . . მაზრის . . . სოფლის საზოგადოებაში *).

§ 8. ამხანაგობის წევრობა შეუძლიანთ აგროვე წვრილ სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობებს თავიანთ წარმომადგენელთა საშუალებით.

§ 9. ამხანაგობის წევრობა არ შეუძლიანანთ: 1) არა სრულწლოვანთ (კარდა რაიმე ხარისხის მექინეთა) 2) სასწავლებლის მოსწავლეთა 3) სამსახურში მყოფ ჯარის კაცებს და იუნკრებს და 4) იმ პირთ, რომელთაც სასამართლოს დადგენილებით უფლებები აქვთ შეზღუდული.

§ 10. ამხანაგობის თვითეულმა წევრმა ყოველწლივ უნდა შეიცავოს! . . . მანეონი (ან კაპეიკი), რომლის 2) . . . ნაწილი უნდა გადაიდოს ამხანაგობის საწარმოთ თანხის შესადგენად, დანარჩენი ფული-კი უნდა მოხსერდეს ამხანაგობის მიმდინარე საჭიროებას. შეტანილი ფული არ უბრუნდებათ არც წევრთ და არც მათ მემკვიდრეთ.

§ 11. საწევრო ფულის შეტანის ვადას ნიშნავს ამხანაგობის წევრთა საზოგადო კრება. ამ ვადის შემდეგ წევრს ეძლევა ერთის თვის ვადა, რომლის განმავლობაშიაც მან უნდა შეიტანოს საწევრო ფული, წინააღმდეგ შეზოვევაში იგი ითვლება ამხანაგობიდან დათხოვნილად. თუ ამხანაგობის რომელიმე წევრი

*) უნდა ჩაიწეროს სახელწლიდება იმ გუტერნიისა, მაზრისა და სოფლის საზოგადოებისა, რომლის მცხოვრებინც მიიღებიან ამხანაგობის წევრად.

1) უნდა ჩაიწეროს რამდენი კაპეიკიან მანეთი უნდა გადაიხარის ამხანაგობის თვითეულმა წევრმა წელიწადში.

2) აქ უნდა ჩაიწეროს საწევრო ფულის რანწილი გადაიუდა საწარმოო თანხის გასაძლიერებლად.



უწესოდ იქცევა ან განძრახ აზარალებს ამხანაგობას, საზოგადო კრებას შეუძლიან გააძევოს იგი ამხანაგობიდან.

§ 12. წევრნი კრებაზე მონაწილეობას იღებენ მხოლოდ პირადად და ერთი ხმის უფლება აქვთ.

§ 13. თავის საწყობიდან გაყიდულ საქონელში ამხანაგობა აიღებს თავის ხარჯის და-საფარავად საჭირო ფულს; ამის გარდა საზო-

გაღო კრების დადგენილებით ამხანაგობას შეუძლიან დააწესოს განსაკუთრებული საკომისიო ფასი. ამ საკომისიო ფასს აიღებს თავის საწყობიდან გაყიდულ საქონელში, მიუხედავად იმისა თავის წევრებზე გაჰყიდის საქონელს თუ უცხოზე, აგრეთვე წევრების დავალებით გამოწერილ საქონელში და მათ მეურნეობის ნაწარმოებთა გაყიდვაში.

ე. კარბელაშვილი
(დასასრული იქნება)

საყურადღებო ცნობები

ღვინო და ლუდი არყის მაგივრად ჯარ-ში.—შემდეგი ფრიიად საყურადღებო გარდა წყვეტილება მოახდინა სამხედრო სათათბიო რომ 18 დეკემბერს 1908 წ., რომელიც მეორე დღესვე 19 დეკ. 1908 წ. იქმნა ხელმწიფე იმპერატორისაგან დამტკიცებული.

სამხედრო სათათბიოს ურნალში 18 დეკ. 1908 წ. ოქმში სწრია:

1) „გაუქმებულ იქმნეს სამხედრო კანონთ კრებულში ის მუხლი (მუხ. 197 წიგ. XX დრ. წ. კრ., გამ. მეორე) კანონისა, რომლის თანახმად ეძლეოდათ აქამომდე სალდათებს არას ყი. ამ „პირუია“ არაყის მაგივრად შეიცეს ხოლმე ამიტორიდან ჯარს სასმელად ღვინო ან ლუდი, ან არაყის ლიონებული ფასით გაუმჯობესდეს საჭმელი. რა უფრო სამჯობინარი იქნება იმ ადგილის და იმ პირობებში, სადაც და რა პირობებშიც ჯარი იღება, ამისი გარს დაწყვეტა მიენდოს ჯარის თითოეულ ნაწილის უფროსს.“

2) „მოისპოს სალდათების მაღაზიებსა და ბუფეტებში სპირტებული სასმელების გასაყიდვა და მაგიერ ამ სასმელებისა მიეცეთ ნება იქანიონ გასაყიდათ ღვინო და ლუდი.“

3) „აეკრძალოთ ომისათბის ძროს ჯარის ყველა ხარისხის უფროსებს ჯარის არაყით დას საჩრდინება. არყის გამოწერის უფლება ქონ-

დ ს უფროსს მხოლოდ თვითეულ სალდათი-სთვის, ისიც მხოლოდ მაშინ, როცა არაყი მისთვის საჭირო იქნება, როგორადაც წამალი.“

4) „მიენდოს უმაღლეს შტაბს დაუყოფნებლივ შეიმუშაოს ყველა ის ცელილებანი, რომ მელნიც შესატანი იქნებიან საზოგადო კანონთ კრებულში თანახმად ზემოდ მოყვანილ და სავალდებულოდ გამხდარ გარდაწყვეტილებისა.“

ცხადია რომ ვისაც ხალხისათვის კეთილი სურს, ამ გარდაწყვეტილებას ყველა სიხარულითა და ღლაციით მიეგებება.

სოლინჯი. ზოგიერთებს ცხინვალის ხეობაში კანაფის მზგავი სცენარე, სახელად სოლინჯი მოყვავთ ბოსტანში. როცა მცენარე შემოვა, მოაგრძელებონ მის კუნძულებს, ჩატყრიან ქოთანში, დააყრიან ზემოდან ტყემალს, ჩასდგავენ თონეში და მოთუთქავენ. შემდეგ ამოილებენ, მოაშორებენ ტყემლის კურკას და დანარჩენს გაშორებენ, გაახმობენ კარგა, და ფეხავენ ფილზი და ცოტცოტას უშვრებიან პურის ცომს მოზელაში. ცომი მშვენივრად ფუვდება, გამომცხვარი რბილი ფაფუკი გამოდის, თოქო დუღიდედა უქნიათ, და სასიამოენო სურნელოვანობა და გემო ეძლევა პურს.

პ ა ს უ ხ ე ბ ი

ჭიანჭველების წინააღმდეგ.—ჭიანჭველები რომ ხეხილზედ ან გაზიზედ არ ავიდნენ ამისათვის ასე უნდა მოვაქცეთ:

1) ვიშოვით სქელ ქაღალდს—კარდონს ან „კლეიონკას“, დავჭრით 2 ან 3 ვერტოკის სიგანეს და შემოვაკრავთ ხეს ან ვაზს მიწის პირიდან ცირტა მაღლა. გარედან ამ სალტას წავუშვამთ სქლათ კუპრს, ან ფისს, ამისათვის ხმარიდნ საგანგებო ფისს—წებოს—გუსენიჩნია კლეი ამასთანავე ჩუჩრუტანებით:

ხის და სალტეს შუა კარგა მჭიდროდ უნდა გამოვსოთ, გამოვტენოთ მატყლით ანუ ბამბით, რომ შიგ ვეღარ გაძვრენ ვერც სხვადასხვა მატლები და ვერც ჭიანჭველები. ამ გვარი სალტე მიწიდან ხეზედ მიმავალ ჭიანჭველებს და სხვადასხვა უფრთო მწერებს, რომლებიც ხეს დიდ ზარალს აძლევენ, აღარ ავუშვებს, წებოს კვარებიან და იხოცებიან. დრო გამოშვებით წებო უნდა გავაახლოთ. **სეიმონ ხუნდაძე**

რედაქტ.-გამომცემელი ვ. ი. რცხილაძე